№ 13/12198

"12" თებერვალი 2016

რწმუნებულება

სს "საქართველოს ბანკი" (შემდგომში "მარწმუნებელი") ბანკის თანამშრომელს **გიორგი ბუქურს** (დაბადებული 09.09.1973წ თბილისში, პირადი №01025003639) ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს სს "საქართველოს ბანკის" ინტერესები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს განცხადებები, პროექტები და მიიღოს დოკუმენტაცია შედეგების შესახებ, მოახდინოს ანგარიშსწორება და აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა საჭირო ცნობები, მოწმობები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია ხელი მოაწეროს ზემოხსენებულ მოქმედებებთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტს.
2. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებასთან.

რწმუნებულება ძალაშია 2017 წლის 12 ოქტომბრამდე.

თორნიკე გოგიჩაიშვილი _____

გენერალური დირექტორის მოადგილე

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

58897671306516

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N161218168

რეგისტრაციის თარიღი

21.10.2016 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

მე ნოტარიუს ირმა შარვაძეს (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დედა ენის პარკის ტერიტორია) სს საქართველოს ბანკის სათაო ოფისში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, მომმართა **კახაბერ კიკნაველიძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (ს/ნ 204378869) გენერალური დირექტორი და მისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა სს საქართველოს ბანკის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეესტრიდან. კახაბერ კიკნაველიძემ მოითხოვა რწმუნებულების შედგენა სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის **თორნიკე გოგიჩაიშვილის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე კახაბერ კიკნაველიძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი ბინადრობის მოწმობის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად კახაბერ კიკნაველიძემ (დაბ. 12.12.1972წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01018000767, მცხ. ალ. ყაზბეგის გამზ. 24გ, ბ.21) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე, დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ კახაბერ კიკნაველიძემ ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი **კახაბერ კიკნაველიძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეს **თორნიკე გოგიჩაიშვილს** (დაბადებული 24.05.1979წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01010005109) (შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის (ს/ნ: 204378869)) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, ხელი მოაწეროს) ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები) მათ შორის და არა მხოლოდ:

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, სტენდბაი აკრედიტივის, დოკუმენტალური ინკასოს, ფაქტორინგის, ესქრო ოპერაციების ან/და სხვა სახის საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები) ან/და სუბორდინაციის, ვალის გადაკისრების, მოთხოვნის დათმობის, ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.2. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებებს ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.3. ნასყიდობის, იჯარის, ქირავნობის, სერვიტუტის, უზუფრუქტის, აღნაგობის, მიბარების, ჩუქების, გაცვლის, თხოვების, გამოსყიდვის (შესყიდვის და გაყიდვის ოფციის შესახებ), უპირატესი შესყიდვის, საკუთრების მინდობის და უძრავ/მოძრავ ქონებასთან ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.4. მომსახურების, დავალების და სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები).

1.5. შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)

2. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, ხელი მოაწეროს) წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის ან/და შეწყვეტის/მოშლის/გასვლის/უარის თქმის შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ბრძანება(ები)/განკარგულება(ები)/განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი (მათ შორის, უზრუნველყოფის საშუალებების შეწყვეტის/გაუქმების შესახებ განცხადებ(ებ)ი/წერილ(ებ)ი ან/და სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი).
3. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში.
4. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო (მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, სსიპ შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, სანოტარო ბიუროში), ან/და კერძო დაწესებულებებში/ორგანიზაციებში წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს (მათ შორის და არა მხოლოდ წარადგინოს განაცხად(ებ)ი სააღსრულებო ფურცლის აღებასთან და მის მიღებასთან დაკავშირებით).
5. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.
6. დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში/არბიტრაჟში/ადმინისტრაციულ წარმოებაში, შეასრულოს ყველა სახის მოქმედება (მათ შორის, საპროცესო მოქმედება), აღძრას სარჩელი/შეიტანოს საჩივარი, გადასცეს საქმე არბიტრაჟს, თქვას უარის სასარჩელო მოთხოვნაზე/საჩივარზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს სარჩელი/საჩივარი, შეცვალოს სარჩელის/საჩივრის საგანი ან/და საგნის საფუძველი, დაასრულოს საქმე/ადმინისტრაციული წარმოება მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს/არბიტრაჟის/ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილები/განჩინებები, მიიღოს ან/და წარადგინოს გადასახდევინებლად სააღსრულებო ფურცელი, მიიღოს მიკუთვნებული ქონება ან/და ფული, გამოიხმოს სასარჩელო მოთხოვნა/საჩივარი მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიტანოს საჩივარი ან/და კერძო საჩივარი, წარადგინოს საჩივარი/შესაგებელი/შეგებებული სარჩელი, გაეცნოს საქმის მასალებს ან/და გადაიღოს/მიიღოს საქმის მასალების ასლები, აგრეთვე განახორციელოს ყველა სხვა საჭირო ქმედებები (მათ შორის, პროცესუალური ქმედებები).
7. განახორციელოს მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის გადაწყვეტილებები, მათ შორის რაც დაკავშირებულია სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანასთან, მათ შორის მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) ფილიალების შექმნა/ლიკვიდაციის რეგისტრაციასთან.
8. განახორციელოს მარწმუნებლის ინტერესების დაცვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოებში, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს საგადასახადო ორგანოებში წარსადგენ ყველა სახის დოკუმენტს.
9. რწმუნებულმა მარწმუნებლის სახელით განკარგოს საკორესპონდენტო ანგარიშები.
10. რწმუნებულმა მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს ფულად ანგარიშგებებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, ხოლო ელექტრონული ფორმით ანგარიშგებების გატარებისა და ინფორმაციის მიმოცვლის დროს გამოიყენოს საკუთარი ხელმოწერის ანალოგი, კოდები და პაროლები.
11. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის

აზრით, საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით.

რწმუნებულება მალაშია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა..

მარწმუნებელი

კახაბერ კიკნაველიძე _____

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე _____

